

ერთი ტიპის პარონომაზიული გამოთქმის სემანტიკისათვის
ქართულსა და თურქულში
(შეპირისპირებითი ანალიზი)

თამარ ქაროსანიძე-ქირსაჩი

ფილოლოგიის დოქტორი,
რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: tamar.karosanidze@erdogan.edu.tr
ORCID: 0000-0002-4604-8267

აბსტრაქტი: სტრუქტურულად განსხვავებულ ენებში სხვადასხვა გრამატიკულ მოვლენას შე-
საძლოა ანალოგი აღმოაჩნდეს. მიუხედავად იმისა, რომ თურქული და ქართული სხვადასხვა ენათა
ჯგუფს განეკუთვნება, მაინც შეინიშნება გარკვეული სახის სინტაქსური მსგავსებები. პარონომა-
ზია ქართული ენისთვის ბუნებრივი მოვლენაა. განსაკუთრებით ხშირია მისი გამოყენება ძველ ქა-
რთულში. თუმცა იგი არც თანამედროვე ქართულისთვისაა უცხო. ამგვარი გამოთქმები ფართოდაა
გავრცელებული თურქულშიც. პარონომაზიული გამოთქმები არაერთხელ გამხდარა ლინგვისტთა
ყურადღების საგანი როგორც ქართულში, ასევე თურქულში, თუმცა ორ ენაში არსებული მსგავსი
ფორმების შეპირისპირებითი ანალიზით დღემდე არავინ დაინტერესებულა. ჩვენი კვლევის საგა-
ნია „ნახვით ნახა“ „görmesine gördü“; „ნასვლით ნავალ“ „gitmeye giderim“ ტიპის პარონომაზიული
გამოთქმები. წინამდებარე სტატიაში განხილულია პარონომაზიული გამოთქმები ქართულსა და
თურქულში. ნაჩვენებია ის მსგავსებები, რაც საკვლევი ფორმების შედარებისას გამოიკვეთა.

კვლევის შესავალ ნაწილში განხილულია პარონომაზიის არსი. წარმოდგენილია საკითხთან და-
კავშირებული ქართული და თურქული სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა. ცენტრა-
ლური ნაწილი ეძღვნება ერთი ტიპის პარონომაზიული გამოთქმის სტრუქტურისა და სემანტიკის
განხილვას ქართულსა და თურქულში. განხილულია მისი სინტაქსური კვალიფიკაცია და ფუნ-
ქციები. დასკვნით ნაწილში მოცემულია კვლევის შედეგები. კვლევისას გამოიკვეთა ქართული და
თურქული პარონომაზიული გამოთქმების მსგავსება, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამგვარი გა-
მოთქმები შესაძლოა ენობრივ უნივერსალიად ჩაითვალოს.

საკვანძო სიტყვები: პარონომაზიული გამოთქმები; ქართული; თურქული.

* * *

შესავალი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პარონომაზია ამგვარადაა განმარტებული:
„პარონომაზია ერთი ზმნის ორი სახით (ფორმით) წარმოდგენაა, რომლებიც მკითხველში (მსმე-
ნელში) ერთ ცნებას იწვევს“ (წერეთელი, 1954: 461). არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა ზმნის
პირიან ფორმასთან უთანდებულო მოქმედებითი ფორმით მისივე საწყისია დაკავშირებული, რაც
პარონომაზიის სახელითაა ცნობილი (კვაჭაძე, 1977: 124). პარონომაზიას უწოდებენ სინტაქსურ-ს-
ტილისტურ ფიგურას, რომელშიც პოზიციურად ერთმანეთთან ახლოსაა რამდენიმე ერთმანეთის
მსგავსი წარმოთქმისა, მაგრამ ფუნქციურად განსხვავებული სიტყვები (დავითიანი, 1973: 410).

ჩვენთვის საინტერესო გამოთქმების სახელდებლად დაკავშირებით თურქულ სამეცნიერო
ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. იგი, ძირითადად, განხილულია სხვა სტრუქტურულად
მსგავს გამოთქმებთან ერთად და ამგვარადაა სახელდებული: *fil biçimi, deyimsel kullanım, kalıp, fil
kalıbı, birleşik yapı, kalıplaşmış yapı, kısaltmış yapı* (Altınöz, 2013:37). *anlatım kalıbı* (Altınöz, 2013).

ჩვენი კვლევის მიზანია, ერთმანეთს შეუდაროს ორი სტრუქტურულად განსხვავებული ენის პა-
რონომაზიული გამოთქმების სტრუქტურა და სემანტიკა, გამოკვეთოს ორ ენას შორის არსებული
მსგავსებები. ნაშრომი ეყრდნობა საკითხთან დაკავშირებულ ქართულ და თურქულ სამეცნიერო
ლიტერატურას.

ქართულში პარონომაზიის საკითხით პირველად კონსტანტინე წერეთელი დაინტერესდა. მან აღნიშნულ საკითხს სპეციალური წერილი მიუძღვნა: „პარონომაზია ქართულში“. საკითხს საკმაოდ ვრცლად განიხილავს ივანე იმნაიშვილი თავის ნაშრომში „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“; საანალიზო ფორმებზე მსჯელობს ლეო კვაჭაძე „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“, პარონომაზიული გამოთქმების სინტაქსური კვალიფიკაციის დადგენას მიუძღვნა სპეციალური წერილი ლეილა გეგუჩაძემ „პარონომაზიული გამოთქმის სინტაქსური კვალიფიკაციისათვის ქართულში“.

თურქულში ამგვარი გამოთქმები განხილულია მეჭმეთ ალთინოზის სადოქტორო ნაშრომში „Türkiye Türkçesinde Anlatım Kalıpları“. აღნიშნულ ნაშრომში სხვადასხვა ფრაზეოლოგიურ ერთეულთან ერთად სილრმისეულადაა შესწავლილი ჩვენთვის საინტერესო შესიტყვებები. საკვლევი გამოთქმების სინტაქსური კვალიფიკაციის საკითხი და სემანტიკური ველი განხილულია შემდეგ შრომებში: Doğan Aksan „Anlambilim“; Deny Jean (çev. Ali Ulvi Elöve) „Türk dili grameri“; Fatma Erkman-Akerson, „Türkçe Örneklerle, Dile Genel Bir Bakış“; Atabay, N.; Kutluk İ. ve Özel „Sözcük türleri“; Muharrem Daşdemir „Oklama yöntemiyle Türkçenin yapısal-işlevsel söz dizimi“...

მეთოდები. კვლევისას გამოყენებულია ანალიზისა და შედარება-შეპირისპირებითი მეთოდი. გამოკვლეულია ერთი ტიპის პარონომაზიული გამოთქმის სტრუქტურა, სემანტიკა, სინტაქსური ფუნქციები ქართულსა და თურქულში. ქართული მაგალითები მოყვანილია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან (<http://gnc.gov.ge/gnc/page>). თურქული მაგალითები კი – მეჭმეთ ალთინოზის სადოქტორო ნაშრომიდან „Türkiye Türkçesinde Anlatım Kalıpları“.

მსჯელობა. პარონომაზიული გამოთქმები თურქულსა და ქართულში ორი კომპონენტისგან შედგება: სახელზმნისა და ზმნის პირიანი ფორმისგან. ორივე კომპონენტი საერთო ზმნური ფუძისგანაა ნაწარმოები. ქართულში მასდარი, როგორც პარონომაზიის წევრი, ყოველთვის მოქმედებით ბრუნვაშია. ნაზმნარი სახელი წარმოადგენს პარონომაზიის ერთ-ერთ წევრს თურქულშიც, თუმცა ქართულისგან განსხვავებით, თურქულში სახელზმნა ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას. შესიტყვების ერთი ნაწილი წარმოდგენილია -mAyA “ -mAsInA სუფიქსით, მეორე ნაწილი კი იმავე ფუძისგან ნაწარმოები ზმნაა.

ისმის კითხვა: რის მიხედვითაა შერჩეული ესა თუ ის ბრუნვა საკვლევ ენებში? სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულ პარონომაზიულ გამოთქმაში ერთ-ერთი წევრი (საწყისი) ყოველთვის მოქმედებით ბრუნვაში დგას (იმნაიშვილი, 1957: 234). თუმცა არაფერია ნათქვამი მოქმედებითი ბრუნვის შინაარსობრივი თავისებურებების შესახებ მსგავს გამოთქმებში. აქვეა ხაზგასმული ისიც, რომ პარონომაზიას ქართულში აქვს მშობლიური საფუძველი. მოსაზრება მისი სხვა ენიდან მექანიკურად გადმოტანის შესახებ ვერ ჩაითვლება მართებულად.

რაც შეეხება თურქულს, ცნობილი თურქოლოგი ზეინეფ ქორქმაზი ამგვარ გამოთქმებში ყურადღებას ამახვილებს მიცემითი ბრუნვის საწინააღმდეგო, საპირისპირო მნიშვნელობის გამოხატვის ფუნქციაზე: *Uyku ilacı da para etmiyor. Uyumasına uyuyor da erken uyanmanın çaresini bulamıyor* „საძილე აბებიც არ შველის. დაძინებით იძინებს (ძილით სძინავს), მაგრამ ადრე გაღვიძების გზას ვერ პოულობს“ (Korkmaz 2014: 297).

ქართული პარონომაზიული გამოთქმების სახელზმნური ნაწილი, უმეტესად, ზმნა-შემასმენლის ნინ დგას:

გაზეთი ბევრ რამეს დაკარგავდა, თუმცა **გამოსვლით გამოვიდოდა** (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

სახელზმნური ნაწილი უსწრებს შემასმენელს თურქულშიც, თუმცა არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა იგი შემასმენლის შემდეგ დგას:

Bahşış verir vermeye, Şaban Bey sana... ბატონი შაბანი გასამრჯელოს მოცემით მოგცემს... (Altınöz 2013: 323).

ქართულში პარონომაზიული გამოთქმების ზმნური ნაწილი გვხვდება სხვადასხვა კილოს, დროისა და პირის ფორმით:

ლაპარაკით ლაპარაკობენ (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>) გაგებით გაიგო (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>); მოსვლით მოვლენ (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>); წასვლით მიდიოდა (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>);

მსგავსი ვითარებაა თურქულშიც, თუმცა თურქულში ამგვარი გამოთქმები არ გამოიყენება პირობითი კილოს ფორმებთან (Altınöz, 2013: 320).

Söylemesine söyledim „თქმით ვუთხარი; *Yaşamaya yaşıyormuşum* „სიცოცხლით ვცოცხლობ თურმე“; *Kalmasına kalmazdık* „დარჩენით არ დავრჩებოდით“; *Küsmesine dünyana küsmüşsün* „გაბუტვით მთელ ქვეყანას გაბუტვინებარ“; *Git, gitmeye* „წასვლით წადი“; *Almaya alsam* „აღებით რომც ავიღო“ (Altınöz 2013: 320).

სინტაქსური კვალიფიკაცია. აზრთა სხვადასხვაობაა პარონომაზიული გამოთქმების სინტაქსურ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით ქართულში. შანიძის აზრით, ამგვარი ფორმები უბრალო დამატებაა (შანიძე, 1948: 44). წერეთლის აზრით, პარონომაზიიდან არცერთი წევრის ცალკე სინტაქსურ წევრად გამოყოფა არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში პარონომაზია კარგავს თავის სპეციფიკას და მოცემული მრავალსიტყვაობა გაუგებარი ხდება (წერეთელი, 1954: 476). პარონომაზიულ წყვილებს ერთ ცნებად მიიჩნევენ ივანე იმნაიშვილიც (იმნაიშვილი, 1957: 239). დავითიანის აზრით, პარონომაზიულ გამოთქმებს, ჩვეულებრივ, გარემოებითი ფუნქცია აქვს (დავითიანი, 1973: 410). კვაჭაძის აზრით, როცა მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სიტყვას არ ახლავს ატრიბუტული განსაზღვრება, პარონომაზიული წყვილი მყარ სიტყვათა შეხამებად გვევლინება, ერთ ცნებას გამოხატავს და, როგორც წინადადების წევრი, მყარ სიტყვათა შეკავშირებით გადმოცემულ შემასმენლად უნდა დასახელდეს (კვაჭაძე, 1988: 125). გეგუჩაძე „ნამდვილ პარონომაზიად“ მიიჩნევენ შემდეგი სახის სიტყვაშენაერთებს: წასვლით წავალთ, მორჩენით მორჩა... გეგუჩაძე ამგვარ შესიტყვებებს „პარონომაზიულ შედგენილ შემასმენელს“ უწოდებს (გეგუჩაძე, 2010: 145).

თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარ გამოთქმებთან დაკავშირებით ძირითადად შემდეგი მოსაზრებებია გამოთქმული: კომპოზიტია (Hatiboğlu, 1971: 41); წარმოდგენილია დამოკიდებული წინადადების ფუნქციით. იგი მთავარ წინადადებასთან დაკავშირებულია „ama, da, ya“ მაპირისპირებელი კავშირებით (Göksel ve Kerslake, 2005: 410). შესიტყვების სახელზმნური ნაწილი დამატებაა (Daşdemir, 2015: 77); გარემოებაა (Atabay; Kutluk; Özel, 2003 :93); აბსოლუტივია (Tiken, 2003: 325).

ვფიქრობთ, შესიტყვების რომელიმე ნაწილის ცალკე სინტაქსურ წევრად გამოყოფა ვერ ჩაითვლება მართებულად, რადგან ამ შემთხვევაში დაირღვევა ის აზრობრივი მთლიანობა, რომელსაც პარონომაზიული გამოთქმა სძენს წინადადებას.

ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია პარონომაზიული გამოთქმების ფუნქციები. საუბარია იმაზე, რომ ამგვარი გამოთქმები ერთგვარ რიტორიკულ ხერხს წარმოადგენს, რომელიც კატეგორიული ტონით ხასიათდება. აქვეა დასახელებული პარონომაზიული გამოთქმების შემდეგი ფუნქციები: მოქმედების აუცილებლობა, დაბეჯითებითი ტონი, ერთგვარი პირობითობა... (წერეთელი 1947: 483; იმნაიშვილი 1957: 234).

თურქულში ამგვარი გამოთქმების ძირითად სემანტიკურ ფუნქციებად დასახელებულია იმ მოქმედების, მოვლენის, სიტუაციის სიზუსტე და უდავობა, რომელიც განხორციელდა, განხორციელდება და ან დაგეგმილია განხორციელება (Altınöz, 2013:327); მიზეზ-შედეგობრიობა, საწინააღმდეგო, საპირისპირო მოქმედება, პირობითობა... (Erkman-Akerson, 2007: 274).

ქართულში პარონომაზიულ გამოთქმებთან ინტენსიობის გასაძლიერებლად გამოყენებულია „კი“ ნაწილაკი (კვაჭაძე, 1988: 124). ვფიქრობთ, აღნიშნული ნაწილაკი ამგვარ შესიტყვებებს დამაზუსტებელ ელფერს სძენს. ამგვარ გამოთქმებში „კი“ ნაწილაკი შინაარსობრივად იგივეა, რაც „რაც შეეხება“.

ოთახი ჰქონდა დაქირავებული და კითხვისას ისედაც საწოლზე იჯდა. **კითხვით კი** ამბერკი ყოველთვის **კითხულობდა** (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>) (**კითხვით კი** = **რაც შეეხება კითხვას**)

ყოველ მოსვლაზე (**მოსვლით კი** ხშირად მოდიოდა) აუცილებლად იკითხავდა ფრიესეს ასაკს (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>) (**მოსვლით კი** = **რაც შეეხება მოსვლას**).

ყველაფერი იცოდა, გაკეთებით კი ვერაფერს აკეთებდა ისე, როგორც თვითონ უნდოდა (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>) (გაკეთებით კი = რაც შეეხება გაკეთებას).

„ეგ რალა შენი საქმეა“, – გაიფიქრა ფარნაოზმა, თქმით კი არაფერი უთქვამს (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>) (თქმით კი = რაც შეეხება თქმას).

პარონომაზიულ გამოთქმებში რომ „რაც შეეხება“ იგულისხმება და გახაზავს მასდარით გადმოცემულ მოქმედებას, ეს ფაქტი აღნიშნული აქვს კვანტალიანს თავის ნაშრომში „ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები“ (კვანტალიანი, 1990: 115). თუმცა აღნიშნულ ნაშრომში არაფერია ნათქვამი „კი“ ნაწილაკის ფუნქციაზე.

ამ მხრივ საინტერესო ვითარებაა თურქულშიც. თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ჩვენთვის საინტერესო გამოთქმები მიღებულია ლექსიკური ერთეულის *Gelince* „რაც შეეხება“ კლების, ამოვარდნის შედეგად (Deny, 1921:849). ამის დასადასტურებლად მოყვანილია შემდეგი მაგალითები:

"Bilmesine bilir amma domuzluğundan söylemez (bilmesine=bilmesine gelince) „ცოდნით იცის, მაგრამ არ იტყვის, რადგან ღორია (ცოდნით=რაც შეეხება ცოდნას)“ (Deny, 1921:849).

Yazmasına yazarım; fakat zaman bulamıyorum (yazmaya gelince) „დანერით დავწერ, მაგრამ დროს ვერ ვპოულობ (რაც შეეხება დანერას)“ (Deny, 1921:849).

Korkmasına korktuk lakin ses çıkaramadık (korkmaya gelince...) შიშით შემეშინდა, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე (რაც შეეხება შიშს) (Deny, 1921:849).

ქართულში გარდა „კი“ ნაწილაკისა, პარონომაზიულ გამოთქმებთან ხშირად გვხვდება ასევე ლექსიკური ერთეული „მაინც“, რაც პარონომაზიულ გამოთქმას პირობისა და დათმობის სემანტიკას ანიჭებს.

თუმცა, **დარეკვით მაინც დარეკეს იქ** – შეიცვალა ჩვენი გეგმებით (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

რას მოგიხვეტია ეს ხარახურა, **წაღებით მაინც არ წაიღებ** (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

„მაინც“ ლექსიკური ერთეულის შესატყვისი „gene“ ამავე ფუნქციით გვხვდება თურქულშიც:

Yeryüzüm parçalanmıştı sanki. Çalışmasına çalışıyordum gene... „თითქოს მთელი სამყარო განადგურებულიყო. მუშაობით მაინც ვმუშაობდი...“ (Altınöz, 2013:319).

ქართულსა და თურქულში პარონომაზიული გამოთქმები გამოხატავს აუცილებლობის, დაბეჯითების სემანტიკას, რასაც ადასტურებს ამგვარ გამოთქმებთან გამოყენებული ლექსიკური ერთეული „აუცილებლად“ ქართულში და მისი შესატყვისი „kesin“ თურქულში.

შეიძლება ბევრი ვერაფერი გავიგო, მაგრამ **წაკითხვით აუცილებლად წავიკითხავო** (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

Buluruz ama, biraz uğraşırız! İşte o kadar. Bulmaya kesin buluruz!... „ვიპოვით, მაგრამ ცოტას ვიწვალავთ! ეგ იქნება და ეგ. პოვნით აუცილებლად ვიპოვით“ (Altınöz, 2013:319).

როგორც ქართულში, ისე თურქულში პარონომაზიულ გამოთქმებს თან ახლავს საპირისპირო მოქმედება, რაც გარეგნულად გამოხატულია იმ კავშირით, რომელიც გამოთქმასთან ერთად გვხვდება. ქართულში, ძირითადად, ეს კავშირებია „მაგრამ“, „თუმცა“...; თურქულში – „ama“, „da“...

„**მოსვლით მოვიდა, მაგრამ** წიგნი არ მოუტანია“; „**ჭამით ჭამა, მაგრამ** უგემურად“ (იმნაიშვილი, 1957: 242).

Kitabı okumasına okudum da (ama) anlamadım „წიგნი წაკითხვით წავიკითხე, მაგრამ ვერ გავიგე“ (Aksan, 2005: 213-214).

ქართულში აღნიშნული კავშირები ძირითადად მოსდევს ამგვარ შესიტყვებებს. თუმცა გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ჯერ კავშირია და შემდგომ შესიტყვება.

ახლაც ყეფდა ტელეფონში, **მაგრამ მოსვლით** მაინც **მოვიდა** და ისევ თავიდან დაიწყო ყველაფერი (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

ისეთი შემთხვევების არსებობა, როდესაც მაპირისპირებელი კავშირი უსწრებს შესიტყვებას, თურქულში სასაუბრო ენის გავლენითაა ახსნილი (Altınöz, 2013:319).

Buluruz ama, biraz uğraşırız! İşte o kadar. Bulmaya kesin buluruz!... „ვიპოვით, მაგრამ ცოტას ვიწვალავთ. სულ ეს არის. პოვნით აუცილებლად ვიპოვით“ (Altınöz, 2013:319).

ქართულში გვხვდება გათიშული წყვილები, როცა პარონომაზიული გამოთქმის წევრებს შორის სიტყვა ან სიტყვებია მოთავსებული (იმნაიშვილი, 1957: 238).

კითხვით კარგად **გკითხულობდი**, მაგრამ ჩემი უბედურება ის იყო, რომ რუსული არ მესმოდა (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

ის იყო, რომ მოსვლის „გრაფიკს“ არასოდეს იცავდა, მაგრამ **ნასვლით** ზუსტად იცოდა, რომელ საათზე და რომელ წუთზე უნდა **ნასულიყო** (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

გათიშული პარონომაზიული წყვილები გამოიყენება თურქულშიც:

Başüstüne, ekmesine biz ekeriz, ama bey, bitmez ki... Bizim topraklarda mısır bitmez. „როგორც ბრძანებთ, **დათესვით ჩვენ დათესავთ**, მაგრამ არ გაიხარებს... ჩვენს მიწაზე სიმინდი არ ხარობს...“ (Altınöz, 2013:323).

ამგვარ შემთხვევებში ორივე ენაში შეინიშნება იმ ლექსიკურ ერთეულსა თუ ლექსიკურ ერთეულებზე ყურადღების გამახვილების მცდელობა, რომლებიც პარონომაზიული გამოთქმის შემადგენელ კომპონენტებს შორის არის მოქცეული.

ქართულში პარონომაზიული გამოთქმები შესაძლოა შეგვხვდეს უარყოფითი კონტექსტის მქონე წინადადებებშიც (კვაჭაძე, 1988: 124). ამ შემთხვევაში პარონომაზიულ გამოთქმებს მოქმედების გამორიცხვის ფუნქცია ეკისრება (დავითიანი, 1973: 410). ამგვარი შესიტყვების ზმნურ ნაწილს შესაძლოა დაერთოს უარყოფითი სუფიქსი თურქულშიც (Altınöz, 2013: 319).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ორივე ენაში დადებითი კონტექსტისგან განსხვავებით, უარყოფითი ფორმა დაცლილია აუცილებლობის სემანტიკისგან, არ შეინიშნება დაბეჯიდებითი ტონი. თუმცა მას ხშირად ახლავს საპირისპირო სემანტიკა.

ქალი შეჰყურებდა ტელეიუპიტერებით განათებულ სცენას, მაგრამ **მოსმენით** ისიც არ უსმენდა ორატორს (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

seyirci takıma zarar vermeye vermez de, ama... „გულშემატკივარი გუნდს მიყენებით ზიანს არ მიაყენებს თუმცა....“ (Altınöz, 2013:319).

დასკვნა. საკვლევი პარონომაზიული გამოთქმების ძირითადი სემანტიკური ნიუანსები მსგავსია ქართულსა და თურქულში. მსგავსია შესიტყვების სტრუქტურაც. რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს პარონომაზიული გამოთქმების უნივერსალური ბუნებით. მსგავსებებთან ერთად ვხვდებით განსხვავებებსაც, რაც, ძირითადად, ორი ენის ფორმოზივით თავისებურებებში გამოისახება.

გამოყენებული ლიტერატურა:

გეგუჩაძე, ლ. (2010). პარონომაზიული გამოთქმის სინტაქსური კვალიფიკაციისათვის ქართულში. *ჰუმანიტარული კვლევები, ნელინდეული (ტომი: I, გვ. 141-149)*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

დავითიანი, ა. (1973). ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: განათლება.

იმნაიშვილი, ი. (1957). სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კვანტალიანი, ლ. (1990). ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი: მეცნიერება.

კვაჭაძე, ლ. (1988). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: განათლება.

შანიძე, ა. (1948). ქართული ენის გრამატიკა. ნაწ. 2, სინტაქსი (მართლწერის საკითხებითურთ). თბილისი: სახელგამი.

წერეთელი, კ. (2025). პარონომაზია ქართულში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (ტომი: VI, გვ. 461-500)*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ქართული ენის ეროვნული კორპუსი. ნახვის თარიღი: 5.04.2025 ბმული: <http://gnc.gov.ge/gnc/page>

Atabay, N.; Kutluk İ. ve Özel S. (2003). *Sözcük Türleri*. İstanbul: Papatya Yayıncılık.

Altınöz, M. (2013). *Türkiye Türkçesinde Anlatım Kalıpları, Doktora Tezi*. Adana: Çukurova Üniversitesi, Sosyal Bilimler Enstitüsü, Türk Dili ve Edebiyatı Ana bilim Dalı.

- Daşdemir, M. (2015). Oklama yöntemiyle Türkçenin yapısal-işlevsel söz dizimi. Erzurum: Fenomen Yayıncılık.
- Deny Jean (1941). Türk dili grameri (çev. Ali Ulvi Elöve). İstanbul: Kabalcı Yayınevi.
- Doğan, A. (2005). Anlambilim. Ankara: Engin Yayınevi.
- Erkman-Akerson, F. (2007). Türkçe Örneklerle, Dile Genel Bir Bakış, İstanbul: Multilingual.
- Göksel, A. ve Kerslake C. (2005). Turkish: a comprehensive grammar. London and New York: Routledge.
- Hatiboğlu, Vecihe (1981). İkileme. Ankara: TDK Yayınları.
- Korkmaz, Z. (2014). Türkiye Türkçesi Grameri Şekil Bilgisi. Ankara: Türk Dil Kurumu Yayınları.
- Tiken, K. (2003). Türkiye Türkçesinde Basit ve Birleşik Zarf-Fiillerin İfade ve İşlevleri. *Türk Dili Araştırmaları Yıllığı – Belleten* (47(1999), 279-364).